...........................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
...........................................................................................................................................................................................
...........................................................................................................................................................................................

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“ საგანმანათლებლო პროცესში ხელმძღვანელობს ადრეული განათლების კურიკულუმით „თამაში“, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (2025).

კურიკულუმის ღირებულებებისა და პრინციპების მიხედვით, ბავშვი წარმოადგენს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესის ცენტრალურ აქტორს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს პროცესში და თავად აკეთებს არჩევანს, რა და როგორ ისწავლოს. აღნიშნული მიუთითებს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში. ამასთან, კურიკულუმი ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება იმაში, რომ თამაში განიხილება, როგორც ბავშვის ბუნების განუყოფელი ნაწილი და მისი სწავლისა და განვითარების უმთავრესი საშუალება. საგანმანათლებლო პროცესი აგებულია მრავალფეროვან თამაშებზე, რაც ხელს უწყობს ბავშვების აქტიურ ჩართულობასა და ჰოლისტურ განვითარებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“ საგანმანათლებლო პროცესში ხელმძღვანელობს ადრეული განათლების კურიკულუმით „თამაში“, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (2025).

კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება იმაში, რომ ოჯახი განიხილება როგორც საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვანი პარტნიორი. კურიკულუმის მიხედვით, მაღალხარისხიანი ადრეული განათლება შეუძლებელია ოჯახებთან პარტნიორული ურთიერთობების გარეშე, ხოლო ბავშვის განვითარების ეფექტურობა დამოკიდებულია ოჯახის და დაწესებულების შეთანხმებულ და თანხვედრილ მოქმედებაზე.

ამასთან, კურიკულუმის მეთოდოლოგია და მიდგომები სრულად ეფუძნება პროგრამის ხარისხის სტანდარტს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ოჯახის და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება, ინკლუზია, მართვა და შეფასება.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“ საგანმანათლებლო პროცესში ხელმძღვანელობს ადრეული განათლების კურიკულუმით „თამაში“, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (2025).
კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც ვლინდება იმაში, რომ საგანმანათლებლო პროცესი აგებულია მრავალფეროვან გამოცდილებებზე, გარემოსთან, ადამიანებთან და მასალებთან აქტიურ ურთიერთობაზე. კურიკულუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ღია მასალების გამოყენებასა და ბუნებრივი გარემოს გაცნობას, რაც ბავშვებს სთავაზობს მრავალფეროვან გამოცდილებებს და ხელს უწყობს მათ ჰოლისტურ განვითარებას.
ამასთან, კურიკულუმი ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება იმაში, რომ დაგეგმილი აქტივობები მორგებულია 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების განვითარების თავისებურებებზე და უზრუნველყოფს მათი შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების“ მიერ შერჩეული კურიკულუმი „თამაში“, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (2025), გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან, რაც დასტურდება კურიკულუმის გაცნობის მიზნით ჩატარებული შეხვედრის ოქმითა და შესაბამისი ფოტომასალით (ოქმი #5 02.02.2026), ასევე დასტურდება საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებით.

ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების“ მიერ შერჩეული კურიკულუმი „თამაშის“ გაზიარება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და პერსონალთან რეგულირდება დაწესებულების მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის შესაბამისად (ბრძანება №333, 12.12.2025, მუხლი 3), რაც განსაზღვრავს კურიკულუმის პერსონალსა და მშობლებთან გაზიარების ფორმებსა და მექანიზმებს.

ადგილზე ვიზიტისა და დათვალიერების დროს მშობელთა კუთხეებში საინფორმაციო დაფებზე იყო წარმოდგენილი კურიკულუმის გაზიარების ამსახველი მასალები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის (2025);
2. კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი (ბრძანება №333, 12.12.2025)
3. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (№335, 12.12.2025);
4. კურიკულუმის შერჩევის პროცესის ამსახველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები (№1, №2);
5. კურიკულუმის დამტკიცების შესახებ ბრძანება (№344, 19.12.2025);
6. საგანმანათლებლო პერსონალთან კურიკულუმის გაზიარების ამსახველი შეხვედრის ოქმი და შესაბამისი ფოტომასალა;
7. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კურიკულუმის გაზიარების ამსახველი მასალა (საინფორმაციო კამპანია);
8. დაწესებულების Facebook გვერდის ბმული;
9. მესენჯერის ჯგუფებში კურიკულუმის გაზიარების ამსახველი მასალა (სქრინშოტები);
10. საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.1. კურიკულუმის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

## 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების“ მიერ შერჩეული კურიკულუმი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობასა და პერიოდულობას განსაზღვრავს დაგეგმვის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით, რაც მოიცავს კალენდარულ (გრძელვადიან), მიმდინარე (კვირის) და ინდივიდუალურ გეგმებს. კურიკულუმის მიხედვით, გრძელვადიანი გეგმა მოიცავს 2–4 თვიან პერიოდს, ხოლო მოკლევადიანი/მიმდინარე გეგმა ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროცესის ყოველკვირეულ დაგეგმვას. დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც გაწერილია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში“ (ბრძანება №346, 22.12.2025) და განსაზღვრავს დაგეგმვის ფორმებს, პერიოდულობასა და ხანგრძლივობას. კერძოდ, გრძელვადიანი გეგმა იქმნება 2–4 თვიანი პერიოდით, ხოლო მოკლევადიანი გეგმა – ერთკვირიანი პერიოდულობით, საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით. აღნიშნული სრულად შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში გრძელვადიანი დაგეგმვა ხორციელდება 3 თვიანი პერიოდით, რაც შეესაბამება კურიკულუმითა და შესაბამისი მექანიზმით განსაზღვრულ ჩარჩოს.
აღნიშნული შესაბამისობა ვლინდება დაწესებულებაში წარმოდგენილ დღის განრიგში, მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებში; ასევე, აღნიშნული გეგმების ფორმები ადგილზე წარმოდგენილი იყო  და ასახულია საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოებში.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების“ მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს გეგმების შემუშავებას საგანმანათლებლო პერსონალის თანამონაწილეობით. დაწესებულების მიერ ხდება კურიკულუმის

შესაბამისი გეგმა/გეგმების (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) შემუშავება, რაც განსაზღვრულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში“ (ბრძანება №346, 22.12.2025).
გეგმა/გეგმების შემუშავება წარმოადგენს თანამონაწილეობით პროცესს, რაც დასტურდება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მე-3-ე მუხლით (ბრძანება №346, 22.12.2025), რომლის მიხედვითაც გრძელვადიანი (კალენდარული) და მოკლევადიანი (მიმდინარე) გეგმები იქმნება თითოეული ჯგუფის აღმზრდელის მიერ ჯგუფში ბავშვებთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით. ამავე მუხლით განსაზღვრულია, რომ მათი შემუშავების პროცესზე ზოგად მეთვალყურეობას ახორციელებს მეთოდისტი ან/და ბაღის მენეჯერი, რაც უზრუნველყოფს გეგმების შემუშავების პროცესში სხვადასხვა სპეციალისტის მონაწილეობას და თანამშრომლობითი მიდგომის განხორციელებას.
ინტერვიუს საფუძველზე ასევე დგინდება, რომ გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულნი არიან მულტიდისციპლინური გუნდის წევრები (ფსიქოლოგი, ენა-მეტყველების სპეციალისტი, სპეციალური განათლების პედაგოგი, მუსიკის პედაგოგი). ამასთან, დაწესებულებაში განსაზღვრულია არასაკონტაქტო საათები და უზრუნველყოფილია შესაბამისი გარემო, სადაც საგანმანათლებლო პერსონალი ერთობლივად იკრიბება და თანამშრომლობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მიზნით.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

## 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია: დღის განრიგი (დამტკიცებულია №98 ბრძანებით, 18.02.2026), აღმზრდელის პორტფოლიო, სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოები და ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები, რაც დგინდება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მე-10-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი აწარმოებს შესაბამის პორტფოლიოებს, რომლებიც მოიცავს საგანმანათლებლო გეგმებს, დაკვირვების ჩანაწერებს, რეფლექსიას, ბავშვის ნამუშევრებსა და შეფასების მასალას.

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებს, რაც ვლინდება ამავე წესის მე-4-ე მუხლით განსაზღვრული ინდივიდუალიზაციის კომპონენტით, რომლის მიხედვითაც მოკლევადიან გეგმებში გათვალისწინებულია ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებები, ასევე ბავშვებისთვის საჭიროებიდან გამომდინარე იწარმოება განვითარების ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც მოიცავს განვითარების მიზნებს, ჩართულობის გამოწვევებსა და მხარდამჭერ სტრატეგიებს.
შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის ინტერესებს, რაც ვლინდება ამავე წესის მე-8-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც დაწესებულებაში დანერგილია ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ინტერესების გამოვლენას და მიღებული შედეგების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და/ან კორექტირების პროცესში.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
..............................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................
რჩევა
..............................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..............................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია: დღის განრიგი (დამტკიცებულია №98 ბრძანებით, 18.02.2026), აღმზრდელის პორტფოლიო, სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოები და ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები.
აღნიშნული დგინდება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მე-10-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი აწარმოებს შესაბამის პორტფოლიოებს, რომლებიც მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს, ინდივიდუალურ გეგმებს, დაკვირვების ჩანაწერებს, რეფლექსიას, ბავშვის ნამუშევრებსა და შეფასების მასალას.
შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც ვლინდება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მე-4-ე მუხლით განსაზღვრული ინდივიდუალიზაციის ასპექტით, რომლის თანახმადაც მოკლევადიან გეგმებში აისახება ინდივიდუალიზაციის კომპონენტი, ხოლო ბავშვებისთვის იწარმოება განვითარების

ინდივიდუალური გეგმები. აღნიშნული ინდივიდუალური გეგმები მოიცავს ბავშვის შესახებ ზოგად ინფორმაციას, სერვისებსა და სპეციალისტებს, ბავშვის ინტერესებსა და თამაშის განვითარების საფეხურებს, მშობლის პრიორიტეტებს, ბაღის აქტივობებში ჩართულობას, ჩართულობის გამოწვევებსა და მხარდამჭერ სტრატეგიებს, რაც ცხადყოფს, რომ დაგეგმვა ეფუძნება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათზე რეაგირებას.
ამასთან, ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს ობიექტური დაკვირვების ჩანაწერებს, შეფასების შემაჯამებელ ანგარიშებს, ნამუშევრებსა და სხვადასხვა აქტივობის დროს გადაღებულ ფოტოებს, რაც შესაძლებლობას იძლევა სისტემურად აისახოს ბავშვის განვითარების დინამიკა, ინდივიდუალური თავისებურებები და საჭიროებები. ასევე, ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალის პორტფოლიოები მოიცავს დაკვირვების ჩანაწერებს, ინდივიდუალურ გეგმებსა და რეფლექსიურ ჩანაწერებს, რაც დამატებით ადასტურებს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროცესში.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება დაწესებულებაში გამოყენებულ ადრეული განათლების კურიკულუმში („თამაში“) მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის, სადაც თამაში განსაზღვრულია, როგორც სწავლებისა და განვითარების ძირითადი საშუალება და კურიკულუმის ცენტრალური ღერძი. კურიკულუმი ეფუძნება ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომას და მოიცავს როგორც ბავშვის მიერ ინიცირებულ, ასევე აღმზრდელის მიერ დაგეგმილ თამაშებს, რაც უზრუნველყოფს ბავშვთა აქტიურ ჩართულობას და მრავალმხრივ განვითარებას.
ამასთან, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა რეგულირდება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლასდ უზრუნველყოფის წესით“ (დამტკიცებული №346 ბრძანებით 22.12.2025) , რომლის დანართებში წარმოდგენილი მოკლევადიანი

გეგმების ფორმა, ყოველკვირეული გეგმის ფორმაში წარმოდგენილია სავალდებულო კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს თამაშს და ტრანზიციებს.
გარდა ამისა, დღის განრიგში  გამოყოფილია დრო თამაშისთვის, რაც მიუთითებს, რომ დღის სტრუქტურაში თამაშს მინიჭებული აქვს მნიშვნელოვანი ადგილი და იგი გამოყენებულია, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება.
დიდი ტრანზიციების წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება დაწესებულებაში მოქმედ ტრანზიციის პოლიტიკასა და პროცედურებში (დამტკიცებულია №97 ბრძანებით, 18.02.2026). დოკუმენტის მიხედვით, ტრანზიცია განიხილება როგორც უწყვეტი პროცესი, რომელიც მოიცავს როგორც ბაღში პირველად მიღებას, ასევე ჯგუფის ცვლილებასა და სკოლაში გადასვლას და ხორციელდება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ემოციური კეთილდღეობის გათვალისწინებით.  ტრანზიციის პროცესში გათვალისწინებულია ეტაპობრივი ადაპტაცია, გარემოს გაცნობა, მშობლის ჩართულობა და ემოციური მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფს პროცესის ბავშვისთვის უსაფრთხო და პოზიტიურ მიმდინარეობას.
მცირე ტრანზიციების წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება დაწესებულებაში მოქმედ ტრანზიციის პოლიტიკასა და პროცედურებში (დამტკიცებულია №97 ბრძანებით, 18.02.2026) სადაც აქტივობებს შორის გადასვლისას გამოყენებულია სიმღერები, რითმული და მოძრაობითი აქტივობები, ვიზუალური მხარდაჭერა და სტრუქტურირებული გარემო.
საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე ვლინდება, რომ საგანმანათლებლო პროცესში, განსაკუთრებით მცირე ტრანზიციების დროს, აქტიურად გამოიყენება მრავალფეროვანი თამაშის ელემენტები, რაც ხელს უწყობს ბავშვების შეუფერხებელ გადართვას ერთი აქტივობიდან მეორეზე.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
.............................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................
რჩევა
.............................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.............................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................

### 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, მათ შორის: შემოქმედებითი, მოძრავი, სამაგიდო და წესებიანი, დრამატული და წარმოსახვითი, კვლევითი, კონსტრუქციული, სენსორული და წიგნიერებაზე ორიენტირებული თამაშები, რაც ვლინდება დაწესებულებაში გამოყენებული კვირის გეგმის ფორმაში, რომელიც წარმოდგენილია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში“ დანართის სახით (№346 ბრძანება, 22.12.2025). გეგმის სტრუქტურა ითვალისწინებს მრავალფეროვანი აქტივობებისა და პროვოკაციების დაგეგმვას სხვადასხვა სივრცესა და ცენტრში, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული თამაშების სისტემურ შეთავაზებას ბავშვებისთვის.
დღის გეგმაში იკითხება როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობები, რაც ვლინდება გეგმის კომპონენტებში, სადაც გათვალისწინებულია ინდივიდუალიზაცია და სრული ჯგუფის აქტივობები. აღნიშნულს ამყარებს ასევე ჯგუფური გარემოს ორგანიზება, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა ფუნქციურ ცენტრად. ადგილზე ვიზიტისას ჯგუფების დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ცენტრები: დრამატული თამაშების სივრცე, კონსტრუქციული/კუბურების სივრცე, სენსორული, კვლევის, ხელოვნების, სამაგიდო თამაშების, წიგნიერებისა და განმარტოების სივრცეები, რაც ქმნის შესაძლებლობას ბავშვებისთვის ჩაერთონ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში.
ასევე, დღის გეგმაში იკითხება შენობის შიგნით და შენობის გარეთ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობები, რაც ვლინდება როგორც დღის განრიგში ასევე მოკლევადიანი გეგმების სტრუქტურაში, სადაც გამოყოფილია ეზოს კომპონენტი, ასევე გარემოს ორგანიზებაში. ადგილზე დაკვირვებით დადასტურდა, რომ ეზოს სივრცეც მრავალფეროვნად არის მოწყობილი და მოიცავს შემდეგ ზონებს: მოძრავი აქტივობებისთვის განკუთვნილი სივრცეები, ასევე სენსორული, კვლევითი/აღმოჩენითი, დრამატული, შემოქმედებითი და განმარტოების სივრცეები: ქვიშის სივრცე, მცენარეების ბაღი, ქოხი, რაც უზრუნველყოფს ბავშვების ჩართულობას როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში სხვადასხვა ტიპის თამაშებში.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი, რაც ვლინდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში – „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში" (დამტკიცებული №346 ბრძანებით, 22.12.2025). დოკუმენტის მე-5 მუხლი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების შერჩევის კრიტერიუმებს, მათ შორის შესაბამისობას კურიკულუმთან, მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის უზრუნველყოფას, ასევე ბავშვთა ჰოლისტური განვითარების სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს. განსაზღვრულია, რომ რესურსები მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ მასალებს, ხოლო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა, რომელიც მოიცავს რესურსის სახეობასა და რაოდენობას, ფორმირდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

დოკუმენტის მე-6 მუხლში გაწერილია საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის ორგანიზების პროცესი, რომლის მიხედვით რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო და პირდაპირი შესყიდვის გზით. ასევე წარმოდგენილია რესურსების საჭიროების იდენტიფიცირების, მოთხოვნის, განხილვის, შეძენისა და მიწოდების თანმიმდევრული სქემა, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურ და ორგანიზებულ მიმდინარეობას.

საგანმანათლებლო პერსონალთან, საბავშვო ბაღის მენეჯერთან და გაერთიანების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ რესურსებით უზრუნველყოფის პროცესი ხორციელდება აღნიშნული მექანიზმის შესაბამისად.

აღნიშნული მექანიზმი და მასში გაწერილი პროცედურები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო რესურსების შეუფერხებელ მიწოდებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, რაც ვლინდება წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მათ შორის ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების“ ბრძანებაში №344 (19.12.2025), რომლის საფუძველზე დამტკიცებულია ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის) და აღნიშნული კურიკულუმისთვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი. კურიკულუმში განსაზღვრულია სხვადასხვა ფუნქციური ცენტრისთვის საჭირო რესურსები (დრამატული თამაშების, ხელოვნების, კვლევის, სენსორული, კონსტრუქციული, სამაგიდო თამაშებისა და წიგნიერების სივრცეები), რაც ადასტურებს რესურსების შესაბამისობას კურიკულუმის მიზნებთან.

განსაზღვრული რესურსის არსებობა დადასტურებულია წარმოდგენილი დოკუმენტაციით: შესყიდვების ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები, წიგნების აღრიცხვის ჟურნალი, რაც მიუთითებს, რომ დაწესებულებას უზრუნველყოფილი აქვს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი.

ამასთან, წარმოდგენილი ზღვრული რაოდენობის წესის მიხედვით, დაწესებულებაში საერთო ზღვრული რაოდენობა მითითებულია 75 ბავშვით, თუმცა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განსაზღვრული რაოდენობების (2-3 წელი - 25 ბავშვი; 3-4 წელი - 30 ბავშვი; 5-6 წელი - 30 ბავშვი) დაჯამებით მიიღება 85 ბავშვი, რაც მიუთითებს დოკუმენტში შიდა რაოდენობრივ შეუსაბამობაზე. ამავე დროს, თვითშეფასებაში დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 85 ბავშვი, რაც შეესაბამება ჯგუფების მიხედვით დაჯამებულ რაოდენობას, თუმცა საჭიროებს დოკუმენტურ დაზუსტებას.

დოკუმენტაციის ანალიზით ასევე იკვეთება, რომ ასაკობრივი ჯგუფების სტრუქტურა არ არის სრულად თანმიმდევრული, კერძოდ, არ არის გამოყოფილი 4-5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფი.

ადგილზე ვიზიტისას განხორციელებული დაკვირვებით დადასტურდა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს 2-3 წლიანი ჯგუფი, 5-6 წლიანი ჯგუფი და შერეული ასაკობრივი ჯგუფი (3-4-5 წელი), რაც არ ემთხვევა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესს (ბრძანება #33, 30.01.2026), ამასთან, შერეულ ჯგუფში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 25-ს, რაც აღემატება შესაბამისი ტიპის ჯგუფისთვის რეკომენდებულ ზღვრულ რაოდენობას და მიუთითებს ჯგუფის გადატვირთულობაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ მიუხედავად კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის დოკუმენტურად განსაზღვრისა, დაწესებულებაში არ არის სრულად უზრუნველყოფილი რესურსის საკმარისობა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ, დოკუმენტაციაში არ არის განსაზღვრული 4-5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფი, რაც აჩენს კითხვას აღნიშნული ასაკის ბავშვების განაწილებასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ მათთვის არ არის გამოყოფილი შესაბამისი ჯგუფური სივრცე და რესურსი.

ამასთან, ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით, აღნიშნული ასაკის ბავშვები ინტეგრირებულნი არიან შერეულ ასაკობრივ ჯგუფში (3-4-5 წელი), სადაც ბავშვთა რაოდენობა აღემატება რეკომენდებულ ზღვრულ მაჩვენებელს. აღნიშნული პრაქტიკა არღვევს ასაკობრივი დაყოფის პრინციპს და ქმნის რესურსების არათანაბარი განაწილების რისკს, რის შედეგადაც თითოეული ბავშვისთვის კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფილი ვერ ხდება.

შესაბამისად, არსებული შეუსაბამობები ჯგუფურ სტრუქტურასა და ზღვრულ რაოდენობას შორის პირდაპირ გავლენას ახდენს საგანმანათლებლო რესურსის ადეკვატურობაზე და არ იძლევა საფუძველს, რომ რესურსი შეფასდეს საკმარისად ბავშვთა ზღვრული რაოდენობის პირობებში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების სტრუქტურისა და ზღვრული რაოდენობის სრულ შესაბამისობაში მოყვანა მოქმედი სტანდარტის მოთხოვნებთან. კერძოდ, მიზანშეწონილია 4-5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფის დოკუმენტურად განსაზღვრა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა შესაბამისი სივრცით, პერსონალითა და საგანმანათლებლო რესურსით. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას არ გააჩნია დამატებითი ჯგუფის შექმნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა ან ადამიანური რესურსი, შესაძლებელია შერეული ასაკობრივი ჯგუფის ფუნქციონირება, თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელია ბავშვთა რაოდენობის შესაბამისობაში მოყვანა რეკომენდებულ ზღვრულ მაჩვენებელთან და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა სხვადასხვა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან, დაწესებულებამ უნდა დააზუსტოს შიდა დოკუმენტაცია ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესახებ, რათა გამოირიცხოს რაოდენობრივი შეუსაბამობები და უზრუნველყოფილ იქნას რეალური მდგომარეობის შესაბამისი ასახვა.

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, რაც ვლინდება წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მათ შორის ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების“ ბრძანებაში №344 (19.12.2025), რომლის საფუძველზე დამტკიცებულია ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის) და აღნიშნული კურიკულუმისთვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი. კურიკულუმში განსაზღვრულია სხვადასხვა ფუნქციური ცენტრისთვის საჭირო რესურსები (დრამატული თამაშების, ხელოვნების, კვლევის, სენსორული, კონსტრუქციული, სამაგიდო თამაშებისა და წიგნიერების სივრცეები), რაც ადასტურებს რესურსების შესაბამისობას კურიკულუმის მიზნებთან.

განსაზღვრული რესურსის არსებობა დადასტურებულია წარმოდგენილი დოკუმენტაციით: შესყიდვების ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები, წიგნების აღრიცხვის ჟურნალი, რაც მიუთითებს, რომ დაწესებულებას უზრუნველყოფილი აქვს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი.

ამასთან, შეფასების პროცესში გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამობები ბავშვთა ზღვრული რაოდენობისა და ასაკობრივი ჯგუფების სტრუქტურის განსაზღვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესახებ დოკუმენტაციაში დაფიქსირდა ტექნიკური ხასიათის რაოდენობრივი შეუსაბამობა, რის შედეგადაც საერთო ზღვრული რაოდენობა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განსაზღვრული რაოდენობები ერთმანეთთან სრულ თანხვედრაში არ იყო. ასევე, დოკუმენტაციაში არ იყო ცალკე განსაზღვრული 4-5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფი, ხოლო ფაქტობრივად ფუნქციონირებდა შერეული ასაკობრივი ჯგუფი, რომელშიც ბავშვთა რაოდენობა აღემატებოდა რეკომენდებულ ზღვრულ მაჩვენებელს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულია აღნიშნული საკითხების ეტაპობრივი მოწესრიგება, მათ შორის ზღვრული რაოდენობის დაზუსტება, ასაკობრივი ჯგუფების სტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანა, ბავშვთა განაწილების გადახედვა და საგანმანათლებლო რესურსების ადეკვატური განაწილების უზრუნველყოფა.

რის საფუძველზეც ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

## 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად, კურიკულუმის მიხედვით, გარემო უნდა იყოს ბავშვზე მორგებული (ავეჯი- ბავშვის სიმაღლის შესაბამისი), უნდა შეიცავდეს ძირითადად ღია და ბუნებრივ რესურსებს, იყოს ორგანიზებული და ბავშვებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით. ასევე ხაზგასმულია, რომ გარემო უნდა იყოს მყუდრო, შეიცავდეს სახლის ელემენტებს, იყოს მოქნილი და იძლეოდეს ცვლილებების შესაძლებლობას. კურიკულუმი განსაზღვრავს, რომ ჯგუფი უნდა იყოს მოწყობილი ფუნქციურ ცენტრებად, რომლებიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის თამაშის ხელმისაწვდომობას, მათ შორის: დრამატული თამაშების, ხელოვნების, კვლევის, სენსორული, კონსტრუქციული/კუბურების, სამაგიდო თამაშების, წიგნიერების, მოძრაობის, განმარტოების და წრეზე შეხვედრების სივრცეები. ამასთან, კურიკულუმი განსაზღვრავს, რომ გარე სივრცე ასევე უნდა იყოს მოწყობილი ფუნქციურ ზონებად და უზრუნველყოფდეს მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებას. ეზო განიხილება, როგორც ღია გარემო, რომელიც ერთდროულად ქმნის შესაძლებლობას როგორც ფიზიკური და მოძრავი თამაშებისთვის, ასევე კვლევისა და აღმოჩენისთვის ბუნებრივი რესურსების გამოყენებით. კურიკულუმის მიხედვით, ეზოში უნდა იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის სივრცეები, მათ შორის: მოძრავი თამაშებისთვის განკუთვნილი ადგილი, საძრომიალო, მცენარეების ბაღი/ბოსტანი, საქვიშე, დრამატული თამაშების სივრცეები (მათ შორის ტალახის სამზარეულო), ქოხები, სახელოსნოს და წიგნიერების სივრცეები.
დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება ადგილზე დაკვირვების შედეგად. ჯგუფური ოთახები ორგანიზებულია ფუნქციური ცენტრების პრინციპით და მოიცავს დრამატული თამაშების, კონსტრუქციული/კუბურების, სენსორული, კვლევის, ხელოვნების, სამაგიდო თამაშების, წიგნიერებისა და განმარტოების სივრცეებს. ასევე, ადგლზე დაკვირვებით დადასტურდა, რომ რესურსები ბავშვებისთვის ხელმისაწვდომად არის განთავსებული, ავეჯი მორგებულია ბავშვების საჭიროებებზე, გარემო არ არის გადატვირთული, წარმოდგენილია ბუნებრივი ტონებით და გამოყენებულია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებები, რაც სრულად შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პრინციპებს და უზრუნველყოფს ბავშვთა დამოუკიდებელ და აქტიურ ჩართულობას.
დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება ადგილზე დაკვირვებით გამოვლენილ გარემოში. ეზო მრავალფეროვნად არის ორგანიზებული და მოიცავს კურიკულუმით განსაზღვრულ ფუნქციურ ზონებს, მათ შორის: მოძრავი აქტივობებისთვის განკუთვნილ სივრცეებს, სენსორულ, კვლევით/აღმოჩენით, დრამატულ, შემოქმედებით და განმარტოების სივრცეებს (საქვიშე, მცენარეების

ბაღი, ქოხები, მუსიკალური აქტივობების სივრცე და სხვა). აღნიშნული გარემო უზრუნველყოფს ბავშვებისთვის მრავალფეროვან გამოცდილებებს და შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: რესურსები უნდა იყოს ღია, ბუნებრივი და მრავალფეროვანი; ორგანიზებული ფუნქციური ცენტრების მიხედვით; განთავსებული ღია თაროებზე და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი; აღჭურვილი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს ბავშვების დამოუკიდებელ არჩევანსა და აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა ტიპის თამაშებში.
დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში და დარბაზში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება ადგილზე დაკვირვების შედეგად. ჯგუფური სივრცეები ორგანიზებულია ფუნქციური ცენტრების მიხედვით და მოიცავს დრამატული თამაშების, კონსტრუქციული/კუბურების, სენსორული, კვლევის, ხელოვნების, სამაგიდო თამაშების, წიგნიერებისა და განმარტოების სივრცეებს. თითოეულ სივრცეში წარმოდგენილია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ღია, ბუნებრივი და მეორადი მასალები. დაწესებულბას ასევე აქვს დარბაზი, სადაც ბავშვებს შეუძლიათ მოძრავი აქტივობებით დაკავდნენ.
დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება იმით, რომ ეზო ორგანიზებულია სხვადასხვა ფუნქციურ სივრცეებად და მოიცავს რესურსებს, რომლებიც ხელს უწყობს მრავალფეროვან აქტივობებს, მათ შორის მოძრავ, სენსორულ, კვლევით/აღმოჩენით და დრამატულ თამაშებს. ეზოში წარმოდგენილია შესაბამისი რესურსები (საქვიშე, ბოსტანი,

ბუნებრივი მასალები, სათამაშო კონსტრუქციები, საძრომიალო, სასრიალო, საქანელა და სივრცეების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები), რაც შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს.
საგანმანათლებლო რესურსი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ჯგუფში, ასევე ეზოში, რაც ვლინდება ადგილზე დაკვირვებით. რესურსები განთავსებულია ბავშვების სიმაღლეზე, ღია თაროებზე, ორგანიზებულია შესაბამის სივრცეებში და აღჭურვილია ვიზუალური მინიშნებებით, რაც ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად აირჩიონ, გამოიყენონ და დააბრუნონ მასალები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ბავშვთა აქტიურ ჩართულობას და დამოუკიდებლობის განვითარებას.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

.რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

## 3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახები/სივრცე პროცესისთვის შერჩეული მოწყობილია:
აქტიური და პასიური თამაშებისთვის, რაც ვლინდება იმით, რომ ჯგუფური გარემო მოიცავს როგორც მოძრაობისა და აქტიური ჩართულობის სივრცეებს (კონსტრუქციული/კუბურების სივრცე, დრამატული სივრცე, სენსორული და კვლევის სივრცეები), ასევე მშვიდი, პასიური აქტივობებისთვის განკუთვნილ სივრცეებს (წიგნიერების, სამაგიდო თამაშების, ხელოვნების და განმარტოების სივრცეები).
მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, რაც ვლინდება ფუნქციური ცენტრების არსებობით, რომლებიც უზრუნველყოფს მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალურად მუშაობის შესაძლებლობას, ასევე წრეზე შეხვედრების სივრცისა და დარბაზის გამოყენებით, სადაც შესაძლებელია დიდი ჯგუფური აქტივობების ორგანიზება (წრეზე შეხვედრები, მუსიკა, მოძრაობა, დრამა და სხვა).
დასვენებისა და განმარტოებისთვის, რაც ვლინდება ჯგუფურ გარემოში გამოყოფილი განმარტოების სივრცეების არსებობით, სადაც ბავშვებს შეუძლიათ მშვიდ გარემოში დროის გატარება, დასვენება ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც ვლინდება ადრეული განათლების კურიკულუმში „თამაში"მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისთვის. კურიკულუმის მიხედვით, დაკვირვება და შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი მეთოდებით და მოიცავს როგორც ინდივიდუალური ბავშვის განვითარებაზე დაკვირვებას, ასევე საგანმანათლებლო პროცესის ანალიზს. განსაზღვრულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა კითხვარების/ჩეკლისტების გამოყენება, აღმზრდელის ობიექტური ჩანაწერები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, ბავშვის ნამუშევრების შეგროვება და ანალიზი. ასევე აღწერილია დაკვირვება-შეფასების ციკლური პროცესი, რომელიც მოიცავს მიმდინარე დაკვირვებას, პერიოდულ შეჯამებას და მშობლებთან გაზიარებას.
დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რაც არ ეწინააღმდეგება კურიკულუმით განსაზღვრულ მიდგომებს. კერძოდ, „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის" (№346 ბრძანება, 22.12.2025) მუხლი 8 ადგენს, რომ დაწესებულება იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, მათ შორის ობიექტური დაკვირვების ჩანაწერებსა და კითხვარებს/ჩეკლისტებს. ასევე განსაზღვრულია, რომ დაკვირვება არის უწყვეტი პროცესი, ხოლო შეფასება ხორციელდება პერიოდულად, მათ შორის შემაჯამებელი შეფასება წელიწადში მინიმუმ ორჯერ. მექანიზმი ითვალისწინებს დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გამოყენებას როგორც მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების კორექტირებისთვის, ასევე რესურსების განსაზღვრისა და საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვზე დაკვირვების შემდეგ მეთოდებს, რაც ვლინდება კურიკულუმითა და მექანიზმით განსაზღვრული პრაქტიკის შესაბამისად: ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები, კითხვარები/ჩეკლისტები, ბავშვის ქცევის, თამაშისა და ურთიერთობის დაკვირვება, ასევე საჭიროების შემთხვევაში აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გამოყენება.
საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მეთოდებს, რაც ვლინდება ბავშვის ნამუშევრების შეგროვებითა და ანალიზით, დაკვირვების შედეგების სისტემატიზაციით, პერიოდული (შემაჯამებელი) შეფასებით და აღნიშნული შედეგების მშობლებთან გაზიარებით.
საგანმანათლებლო პერსონალის მიერ გამოყენებული დაკვირვება და შეფასება თანმიმდევრულია, რაც ვლინდება იმით, რომ დაკვირვება ხორციელდება უწყვეტად, სხვადასხვა მეთოდების კომბინირებული გამოყენებით, ხოლო შეფასების შედეგები გამოიყენება დაგეგმვის პროცესში (მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების კორექტირება), რესურსების განსაზღვრისას და მშობლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე პროცესი მოიცავს პერიოდულ შეჯამებასა და შედეგების გაზიარებას, რომელიც უზრუნველყოფს სისტემურ და თანმიმდევრულ მიდგომას, რაც საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზეც დადასტურდა.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მეთოდებს, რაც ვლინდება ადრეული განათლების კურიკულუმსა და „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში“ (№346 ბრძანება, 22.12.2025) განსაზღვრული მიდგომების შესაბამისად. კერძოდ, გამოიყენება დაკვირვების ობიექტური ჩანაწერები, კითხვარები/ჩეკლისტები, ბავშვის ნამუშევრების შეგროვება და ანალიზი, ასევე შეფასების შედეგების პერიოდული შეჯამება და მშობლებთან გაზიარება.
შეფასება ემსახურება:

- თითოეული ბავშვის ინტერესების გამოვლენას, რაც ვლინდება დაკვირვების პროცესში ბავშვის თამაშზე, არჩევანზე და აქტივობებში ჩართულობაზე ფოკუსირებით;
- თითოეული ბავშვის საჭიროებების გამოვლენას, რაც ვლინდება დაკვირვების შედეგების ანალიზით და მათი გამოყენებით საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და ინდივიდუალიზაციაში;
- თითოეული ბავშვის პროგრესის გამოვლენას, რაც ვლინდება მიმდინარე დაკვირვებისა და პერიოდული შეფასებების შედეგად მიღებული მონაცემების შედარებით და შეჯამებით.

შეფასება ემსახურება ბავშვის განვითარების ყველა სფეროს, რაც ვლინდება იმით, რომ დაკვირვება და შეფასება ხორციელდება ჰოლისტურად და მოიცავს სხვადასხვა განვითარების მიმართულებებს (კოგნიტიური, მეტყველება-კომუნიკაციური, სოციალურ-ემოციური, ფიზიკური და სხვა), რაც განსაზღვრულია კურიკულუმით და შეფასების პროცესში გამოიყენებული კითხვარები/ჩეკლისტებით და დაკვირვების ჩანაწერებით, შეფასების პროცესში გამოყენებული ბავშვის შეფასების ფორმა და შემაჯამებელი შეფასების ფორმა დანართის სახით წარმოდგენილია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში“ (№346 ბრძანება, 22.12.2025) (დანართი #1. ბავშვის შეფასების ფორმა), (დანართი #5 ბავშვის შემაჯამებელი შეფასების ფორმა).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

## 3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აგანმანათლებლო პერსონალის მიერ გამოყენებულია ბავშვების შეფასება, რაც ვლინდება ადრეული განათლების კურიკულუმსა და „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში“ (№346 ბრძანება, 22.12.2025) განსაზღვრული მიდგომების შესაბამისად. შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი მეთოდებით, მათ შორის დაკვირვების ობიექტური ჩანაწერების, კითხვარების/ჩეკლისტების, ბავშვის ნამუშევრების შეგროვებისა და ანალიზის გზით, ასევე პერიოდული (შემაჯამებელი) შეფასებით.

შეფასების შედეგები გაანალიზებულია, რაც ვლინდება იმით, რომ დაკვირვებისა და შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაცია სისტემატიზდება და გამოიყენება ბავშვის ინტერესების, საჭიროებებისა და განვითარების დინამიკის განსასაზღვრად. აღნიშნული ანალიზი ეფუძნება როგორც მიმდინარე დაკვირვებას, ასევე პერიოდულ შეჯამებას და შედეგების განხილვას.
შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის/მოდიფიცირებისთვის, რაც ვლინდება იმით, რომ მიღებული მონაცემები გამოიყენება მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენისა და კორექტირებისთვის, საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრისა, სამოქმედო გეგმის შედგენისთვის და პროცესის გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული განსაზღვრულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ (№346 ბრძანება, 22.12.2025) მუხლი 8-ის მე-10 პუნქტში.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას, რაც ვლინდება ადრეული განათლების კურიკულუმსა და „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში“ (№346 ბრძანება, 22.12.2025) განსაზღვრული მიდგომების შესაბამისად. კურიკულუმის მიხედვით, შეფასების პროცესი მოიცავს მშობლებთან კომუნიკაციას ბავშვის პროგრესისა და საჭიროებების შესახებ, ხოლო წესის მუხლი 8-ის მე-5 პუნქტის მიხედვით, შეფასების პროცესში ჩართულია ოჯახი.
ბავშვის შეფასების პროცესში ჩართულია ოჯახი, რაც დასტურდება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ (№346 ბრძანება, 22.12.2025) მუხლი 9-ით, რომლის მიხედვითაც დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას და მათი განხილვა ხორციელდება

ინდივიდუალურად. ასევე, მუხლი 8-ის მე-5 პუნქტი მიუთითებს, რომ შეფასების პროცესში ჩართულია ოჯახი. დამატებით, ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ დაწესებულებაში მოწყობილია შესაბამისი სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ჩატარების შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობს ოჯახის ჩართულობას შეფასების პროცესში.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“- მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის;
2. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის სხდომის ოქმი #3 (საგანმანათლებლო დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსით უზრუნველყოფის წესის განხილვა და დასამტკიცებლად წარდგენა);
3.„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (№346 ბრძანება, 22.12.2025);
4. დღის განრიგი (№98 ბრძანება, 18.02.2026);
5. ტრანზიციის პოლიტიკა და პროცედურები საბავშვო ბაღში (№97 ბრძანება, 18.02.2026), (დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა).
6. ადგილზე ვიზიტისას ჯგუფური ოთახების, ეზოს და სხვა სივრცეების დათვალიერების შედეგები.
7. ბრძანება ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების“ საბავშვო ბაღების კურიკულუმისა და საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ჩამონათვალის/ნუსხის დამტკიცების შესახებ (№344, 19.12.2025)
8. საკანცელარიო და საგანმანათლებლო რესურსების შესყიდვების ზედნადებები (დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა);
9. მიღება-ჩაბარების აქტები (დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა);
10. წიგნების აღრიცხვის ჟურნალი (დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა);
11. დანართის სახით წარმოდგენილია მოკლევადიანი (დანართი #2), გრძელვადიანი (დარათი #4) და ინდივიდუალური გეგმის ფორმები (დანართი #3).
12. საგანმანათლებლო პერსონალის და ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიოები (დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა);

13. ბრძანება ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების“ საბავშვო ბაღების ბავშვთა ზღვრული რაოდენობის დამტკიცების შესახებ (ბრძანება #33, 30.01.2026);
14. დანართის სახით წარმოდგენილი შეფასების ჩეკლისტი, ბავშვის შეფასების ფორმა (დანართი 1), ბავშვის შემაჯამებელი შეფასების ფორმა (დანართი 5);
15. საგანმანათლებლო პერსონალთან, ბაღის მენეჯერთან და გაერთიანების ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები. 2.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.2. კურიკულუმის განხორციელება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

## 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებაში კურიკულუმის შეფასებისა პრაქტიკა განსაზღვრულია ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების“ მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში – „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ (№333 ბრძანება, 12.12.2025).
დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შეფასება წარმოადგენს სისტემურ პროცესს, რომელიც მოიცავს შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზსა და მიღებული შედეგების გამოყენებას კურიკულუმის განვითარების მიზნით.
კურიკულუმის შეფასება ეფუძნება:
საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას, რაც განსაზღვრულია „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესში“ (№333 ბრძანება, 12.12.2025), მე-4 მუხლის მე-5, მე-6, მე-7 პუნქტებში.
ფიზიკური გარემოს შეფასებას, რაც განსაზღვრულია „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესში“ (№333 ბრძანება, 12.12.2025), მე-4 მუხლის მე-8, მე-9, მე-10, მე-11 პუნქტებში.

მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უკუკავშირს, რომელიც გათვალისწინებულია კურიკულუმის შეფასების ერთ-ერთ წყაროდ, რაც განსაზღვრულია „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესში“ (№333 ბრძანება, 12.12.2025), მე-4 მუხლის მე-12 პუნქტში.
საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას, რაც განსაზღვრულია „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესში“ (№333 ბრძანება, 12.12.2025), მე-4 მუხლის მე-13 პუნქტში.
დაწესებულებამ ასევე დანართის სახით ადგილზე წარმოადგინა მშობლის უკუკავშირის კითხვარი, ეზოს ფიზიკური გარემოს შეფასების კითხვარი, ინკლუზიური მხარდამჭერი პერსონალის პრაქტიკის შეფასების კითხვარი, ჯგუფის ფიზიკური გარემოს შეფასების კითხვარი, საგანმანათლებლო პროცესის შეფასების კითხვარი, აღმზრდელის თვითრეფლექსიის კითხვარი.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
......................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................
რჩევა
......................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
......................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებაში კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა განსაზღვრულია და რეგულირდება ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების“ მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში – „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესში“ (№333 ბრძანება, 12.12.2025).
შეფასების შედეგებს აანალიზებს დაწესებულება, რაც ვლინდება დოკუმენტში გაწერილი პროცესებით, რომლებიც ითვალისწინებს კურიკულუმის განხორციელების პროცესში მიღებული ინფორმაციის შეგროვებას, მის განხილვასა და ანალიზს. აღნიშნული მოიცავს

საგანმანათლებლო პროცესის, ფიზიკური გარემოს, მშობლების უკუკავშირისა და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიის საფუძველზე მიღებული მონაცემების დამუშავებას.
გაანალიზებულ შეფასებაში ფიქსირდება ცვლილებების საჭიროებები, რაც ვლინდება იმით, რომ დოკუმენტი ითვალისწინებს შეფასების შედეგების გამოყენებას კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით და შესაბამისი საჭიროებების იდენტიფიცირებას.
საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ახორციელებს კურიკულუმში ცვლილებას, რაც ვლინდება „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესში“ (№333 ბრძანება, 12.12.2025) მუხლი 5-ში  კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარების გაწერილი პროცესებით.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
.................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
.................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების“ მიერ დამტკიცებული დოკუმენტი – „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ (№333 ბრძანება, 12.12.2025);
2. დანართის სახით წარმოდგენილი კითხვარები: მშობლის უკუკავშირის კითხვარი, ეზოს ფიზიკური გარემოს შეფასების კითხვარი, ჯგუფის ფიზიკური გარემოს შეფასების კითხვარი, საგანმანათლებლო პროცესის შეფასების კითხვარი, ინკლუზიური მხარდამჭერი პერსონალის პრაქტიკის შეფასების კითხვარი,  აღმზრდელის თვითრეფლექსიის კითხვარი.

| შეფასება: |
| --- |
| **2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება** |

| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |
|---|---|---|---|

## 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

### 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

#### 3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

#### 1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობის დაგეგმვის მარეგულირებელი დოკუმენტაცია. კერძოდ, წარმოდგენილია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (ბრძანება №348, 23.12.2025), რომელიც განსაზღვრავს საკომუნიკაციო პროცესის ორგანიზების წესს, პასუხისმგებელ პირებს, კომუნიკაციის ფორმებსა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებს.
აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე დაწესებულებას შემუშავებული აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, რაც გულისხმობს აქტივობების წინასწარ დაგეგმვას, მათ სტრუქტურირებასა და განხორციელების ორგანიზებას.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ასევე დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმები (ბრძანება №11, 13.01.2026), რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები. აღნიშნულ გეგმებში ასახულია:

- აქტივობების თემატიკა და შინაარსი
- განხორციელების პერიოდულობა
- პასუხისმგებელი პირები
- ჩართულობის ფორმები

გეგმების ანალიზი აჩვენებს, რომ დაგეგმილი აქტივობები მოიცავს როგორც ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან თანამშრომლობას, ასევე თემთან თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებს.
ამასთანავე, წარმოდგენილია საკომუნიკაციო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (№350), რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს აღნიშნული პროცესის დაგეგმვასა და კოორდინაციაზე, რაც კიდევ უფრო ადასტურებს, რომ აქტივობების დაგეგმვა ხორციელდება სისტემურად და ორგანიზებულად, ასევე წარმოდგენილია ოქმი, სადაც საგანმანათლებლო პერსონალი განიხილავს საკომუნიკაციო გეგმას (ოქმი #1, 12.01.2026).
**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება წაახალისებს თემის ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. კერძოდ, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის: ბოლნისის ცენტრალურ კლინიკასთან, კულტურის სახლთან არსებულ თოჯინების თეატრთან, თემში არსებულ საჯარო სკოლასთან და თემში არსებულ საბავშვო ბიბლიოთეკასთან. აღნიშნული პარტნიორობები მიუთითებს, რომ დაწესებულება გეგმავს და ხელს უწყობს თემის რესურსების ინტეგრირებას კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში. ამასთანავე, წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმის ანალიზი აჩვენებს, რომ თემთან თანამშრომლობა არ არის მხოლოდ ზოგადი მიდგომის დონეზე განსაზღვრული, არამედ წინასწარ არის დაგეგმილი კონკრეტული აქტივობების სახით. გეგმაში გაწერილია თემში განსახორციელებელი ღონისძიებები, მათი განხორციელების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები, რაც მიუთითებს პროცესის წინასწარ გააზრებულ და სისტემურ დაგეგმვაზე.
თემის ჩართულობა მოიცავს როგორც დაწესებულების შიგნით, ისე მის გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებს, რაც იკვეთება როგორც წარმოდგენილი მემორანდუმების შინაარსიდან, ისე დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმიდან (ბრძანება #11, 13.01.2026) .
დაწესებულება ასევე წაახალისებს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ შიდა და გარე ღონისძიებებში, რაც დასტურდება საკომუნიკაციო გეგმაში წინასწარ გაწერილი აქტივობებით. გეგმაში გაწერილია მშობლებთან გასამართი შეხვედრები, საინფორმაციო სესიები და სხვა ჩართულობის ფორმები, მითითებულია მათი განხორციელების პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირები, რაც მიუთითებს პროცესის სისტემურ და მიზნობრივ დაგეგმვაზე.
ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი ფლობს ინფორმაციას თემში არსებული სერვისების შესახებ, იცნობენ საკომუნიკაციო გეგმას და აცნობიერებენ მშობელთა და თემის ჩართულობის მნიშვნელობას.
**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან კომუნიკაციის მეთოდები და არხები, რაც განსაზღვრულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში (ბრძანება #348, 23.12.2025), აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია კომუნიკაციის ფორმები, პროცესის ორგანიზების წესი და პასუხისმგებელი პირები, რაც მიუთითებს სისტემურ მიდგომაზე.

დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ შერჩეული კომუნიკაციის არხები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ კომუნიკაციის საშუალებებს. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში (ბრძანება #348, 23.12.2025), წარმოდგენილია დაწესებულების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხები (მუხლი 4):

ა)პირისპირი შეხვედრები;

ბ)საინფორმაციო დაფები;

გ)მოკლე ტექსტური შეტყობინებები/ზარი;

დ)სოციალური მედიის პლატფორმები და დახურული ჯგუფები.

საკომუნიკაციო გეგმის მიხედვით, აღნიშნული არხები გამოიყენება როგორც თემთან ურთიერთობისას, ასევე მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის პროცესში.

ინტერვიუს შედეგებიც მიუთითებს, რომ თანამშრომლები იცნობენ საკომუნიკაციო არხებს და იყენებენ მათ სამუშაო პროცესში, რაც კიდევ უფრო ამყარებს დასკვნას კომუნიკაციის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების შესახებ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (ბრძანება #348, 23.12.2025);

2. ბრძანება ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების" საკომუნიკაციო გეგმის/გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცების შესახებ (ბრძანება #350, 24.12.2025);

3. ა(ა)იპ „ბოლწისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდიწაციის დაწესებულების" საკომუნიკაციო გეგმის/გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ოქმი N1; N2;

4. საკომუნიკაციო გეგმა(ბრძანება #11, 13.01.2026);

5. მშობლებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების ოქმები

6. ადგილობრივ თემთან გაფორმებული მემორანდუმები: ბოლნისის ცენტრალური კლინიკა (10.02.2026), ადგილობრივი მუზეუმი (03.02.2026), კულტურის სახლი / თოჯინების თეატრი, საჯარო სკოლა (20.03.2026) , საბავშვო ბიბლიოთეკა.

7. საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

8. ადგილზე ვიზიტის დროს საინფორმაციო დაფების არსებობა.

.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

## 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რაც დასტურდება წარმოდგენილი საკომუნიკაციო დოკუმენტაციით. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის განსაზღვრავს მშობლებთან საკომუნიკაციო პროცესის ორგანიზებას, ხოლო საკომუნიკაციო გეგმაში წინასწარ არის გაწერილი მშობლებთან განსახორციელებელი აქტივობები, მათ შორის საინფორმაციო შეხვედრები.

დაწესებულება უზრუნველყოფს ოჯახის ცნობიერების ამაღლებას, რაც დასტურდება საკომუნიკაციო გეგმაში წინასწარ გაწერილ აქტივობებში. ამასთანავე, ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულებაში მოწყობილია საინფორმაციო დაფა, სადაც განთავსებულია მშობლებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია.

დამატებით, ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ თანამშრომლები იცნობენ საკომუნიკაციო გეგმას და აცნობიერებენ მშობელთა ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................

რჩევა

............................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

............................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................

### 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აწარმოებს ბავშვების შეფასებას და აქვს შეფასების შედეგები, რაც ვლინდება ადრეული განათლების კურიკულუმსა და „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში“ (№346 ბრძანება, 22.12.2025) განსაზღვრული შეფასების სისტემით. აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 8-ის მიხედვით, დაწესებულებაში ხორციელდება ბავშვზე დაკვირვება და შეფასება მრავალფეროვანი მეთოდებით, ხოლო შეფასების შედეგები ფიქსირდება შესაბამის ფორმებში, რომლებიც წარმოდგენილია ამავე წესის დანართების სახით (ბავშვის შეფასების ფორმა და შემაჯამებელი შეფასების ფორმა).

მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვის შეფასების შედეგების შესახებ, რაც დასტურდება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ (№346 ბრძანება, 22.12.2025) მუხლი 9-ით, რომლის მიხედვითაც დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას, ხოლო აღნიშნული შედეგების განხილვა ხორციელდება ინდივიდუალურად.

ამასთან, დოკუმენტის მუხლი 8-ის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ ბავშვის შეფასების პროცესში ჩართულია ოჯახი, რაც დამატებით ადასტურებს მშობლების ინფორმირებულობას და ჩართულობას შეფასების პროცესში.

დამატებით, ადგილზე წარმოდგენილი იყო შესაბამისი სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ჩატარების შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობს შეფასების შედეგების გაზიარების პროცესის ორგანიზებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

### 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა

თემთან, მათ შორის: ბოლნისის ცენტრალურ კლინიკასთან, კულტურის სახლთან/თოჯინების თეატრთან, საჯარო სკოლასთან და საბავშვო ბიბლიოთეკასთან. აღნიშნული ურთიერთობა მიუთითებს, რომ დაწესებულება აქტიურად იყენებს თემში არსებულ საგანმანათლებლო, კულტურულ და სოციალურ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისთვის, რომელიც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში არის გაწერილი, კერძოდ თანამშრომლობის მიზნები და ფორმები.
აღნიშნული ასევე ვლინდება და დასტურდება საკომუნიკაციო გეგმის ანალიზით, სადაც წინასწარ არის გაწერილი თემში განსახორციელებელი აქტივობები, მათი შინაარსი, განხორციელების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები, რაც მიუთითებს თემის რესურსების მიზნობრივ და სისტემურ გამოყენებაზე კურიკულუმის ფარგლებში, ასევე დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ჩატარებული გასვლითი აქტივობების ფოტო მასალა.
ამასთანავე, საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ პერსონალი ფლობს ინფორმაციას თემში არსებული რესურსების შესახებ და აცნობიერებს მათი გამოყენების მნიშვნელობას საგანმანათლებლო პროცესში.
**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულება აფასებს ოჯახთან და თემთან განხორციელებულ აქტივობებს, რაც დასტურდება საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესით განსაზღვრული მექანიზმებით. კერძოდ, საკომუნიკაციო წესის დოკუმენტში (მუხლი 6) განსაზღვრულია განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების პროცესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შეგროვებასდა უკუკავშირის მიღებას ღია შეხვედრებით და ელექტრონული კითხვარებით.

აღნიშნული ასევე ვლინდება ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული დაკვირვებით, რომლის დროსაც გამოვლინდა, რომ თითოეულ ჯგუფში, მშობელთა კუთხის სივრცეში განთავსებულია უკუკავშირის ყუთები. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს მშობლების მხრიდან მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შეგროვებას, რაც წარმოადგენს შეფასების პროცესის ერთ-ერთ პრაქტიკულ ინსტრუმენტს.
შეფასების შედეგებიდან გამომდინარე შესაძლებელია საჭიროებების იდენტიფიცირება, რაც გათვალისწინებულია საკომუნიკაციო წესით. დოკუმენტი მიუთითებს, რომ მიღებული უკუკავშირი გამოიყენება საკომუნიკაციო პროცესის გაუმჯობესებისა და შემდგომი აქტივობების დაგეგმვისთვის.
დამატებით, ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ თანამშრომლები იცნობენ აღნიშნულ მექანიზმებს და აცნობიერებენ შეფასებისა და ცვლილებების განხორციელების მნიშვნელობას, რაც მიუთითებს პროცესის სისტემურ და გააზრებულ განხორციელებაზე.
**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
............................................................................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
............................................................................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
............................................................................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1.საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (ბრძანება #348, 23.12.2025);
2. ბრძანება ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების“ საკომუნიკაციო გეგმის/გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცების შესახებ (ბრძანება #350, 24.12.2025);
3. ა(ა)იპ „ბოლწისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდიწაციის დაწესებულების“ საკომუნიკაციო გეგმის/გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ოქმი N1; N2;
4. საკომუნიკაციო გეგმა(ბრძანება #11, 13.01.2026);
5. .„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (№346 ბრძანება, 22.12.2025);
6. ადგილობრივ თემთან გაფორმებული მემორანდუმები: ბოლნისის ცენტრალური კლინიკა (10.02.2026), ადგილობრივი მუზეუმი (03.02.2026), კულტურის სახლი / თოჯინების თეატრი, საჯარო სკოლა (20.03.2026) , საბავშვო ბიბლიოთეკა.

7. საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
8. ადგილზე ვიზიტის დროს საინფორმაციო დაფების, მშობელთა კუთხეებისა და უკუკავშირის ყუთების არსებობა.
9. დანართის სახით წარმოდგენილი შეფასების ჩეკლისტი, ბავშვის შეფასების ფორმა (დანართი 1), ბავშვის შემაჯამებელი შეფასების ფორმა (დანართი 5);

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

### 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

| | **საწოლები ბავშვების ასაკის შესაბამისი ზომისაა:** | | | | | | | | |
| | 0-დან 3 წლამდე სიგრძე არანაკლებ 120სმ, სიგანე 60 სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ჯგუფების საძინებლებში განთავსებულია აღსაზრდელთა ასაკობრივი თავისებურების და რაოდენობის შესაფერისი საწოლები. 2-3 წლიანი ჯგუფისთვის ზომით 120X60სმ. რაოდენობა-24ცალი. 25 საწოლი ზომით -130/70სმ შერეული ჯგუფის (3-5 წლამდე) აღსაზრდელებისთვის, ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე. დაწესებულებას აქვს ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერი და მრავალფუნქციური პრინტერი. დაწესებულებას არ აქვს საბავშვო მაგიდა საფენების გამოსაცვლელად. | რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს საბავშვო ბაღის აღჭურვა საფენების გამოსაცვლელი მაგიდით სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად . | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 2 თვემდე პერიოდზე. კერძოდ "საკითხის დაყენება სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების დირექტორთან,მოხდება საჭირო ფინანსური რესურსის მოძიება და უზრუნველყოფა; ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა, საფენების გამოსაცვლელი მაგიდის შეძენა."აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება შეიცვლება "მეტწილი" შესაბამისობით. |
| | 3-დან 6 წლამდე სიგრძე 140 სმ-ია, სიგანე 60სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია: მაგარ ძირიანი გასაშლელი საწოლები და ლეიბები/ 1 ან 2-სართულიანი საწოლები ( 30 სმ სიმაღლის დამცავი ზღუდით) და ლეიბები/ სექციური ერთი, ორი ან სამ იარუსიანი საწოლები (რომლის პირველი, მეორე და მესამე იარუსის სიმაღლე ერთად არ აღემატება 125 სმ) და ლეიბები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება აღჭურვილია სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე გათვალისწინებულია საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 3 | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** | | | | | | | | |
| 3.1. | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი | | | | | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ეზოს/გარე სივრცის ფართი<br>აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა<br>საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა<br>საბავშვო ზომის უნიტაზების/ღამის ქოთნების რაოდენობა<br>საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა<br>საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა<br>გასახდელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:ჯგუფური ოთახების რაოდენობა;ეზოს ფართი;აღმზრდელის თანაფარდობა; საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა; საბავშვო ზომის უნიტაზების რაოდენობა ; საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა ,საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა;გასახდელი სივრცე | | | |
| 3.2. | **დაწესებულება ფლობს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგენილ რესურსებს** | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს 6 ჯგუფური ოთახი , თითოეულის საერთო ფართი აღსაზრდელთა რაოდენობასთან შეფარდებით შესაბამისია ; ეზოს ფართო შესაბამისობაშია .ბავშვებისა და აღმზრდელების თანაფარდობა არაა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში , სააღმზრდელო ჯგუფებში სადაც 15 ზე მეტი აღსაზედელია, მხოლოდ ერთი აღმზდელია, 1 აღმზრდელის თანაშემწე (საგანმანათლებლო პერსონალი) და 1 ძიძა. ჯგუფებისთვის განკუთვნილ თითოეულ სანიტარულ კვანძებში არის 3-4 ერთეული საბავშვო ზომის ხელსაბანი. დაწესებულებაში ჯამურად არის 16 ერთეული საბავშვო ზომის უნიტაზი, საბავშვო ბაღს აქვს აღსაზრდელების ასაკის და რაოდენობის შესაფერისი საბავშვო სკამები და მაგიდები , 2-3 წლიანი ჯგუფის საძინებლები განთავსებულია პირველ სართულზე, 3-4 წლიანი და 4-5 წლიანთა საძინებელი სივრცე ჯგუფის ოთახების გვერდითაა, მეორე სართულზე.საძინებლებში საწოლების რაოდენობა და ზომები აკმაყოფილებს სტანდარტით მოთხოვნილ პირობებს. ყველა ჯგუფის შესასვლელთან განთავსებულია გასახდელი სივრცეები ბავშვების რაოდენობის შესაბამისად. | რეკომენდირებულია დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს აღმზრდელების და აღსაზრდელების თანაფარდობა, კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფში ბავშვებისა და აღმზრდელების თანაფარდობა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში არ არის. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 4 თვემდე პერიოდზე. კერძოდ დაწესებულების საშტატო ნუსხის და ორგანოგრამის კორექტირება და ბაღში დასაქმებული აღმზრდელების რაოდენობის სრულად ასახვა ( მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრულ ოდენობასთან შესაბამისობაში).<br>2. კორექტირებული დოკუმენტების დამტკიცება ბრძანებით.<br>3. კორექტირებული დოკუმენტების შესაბამისად აღმზრდელის თანაშემწესთან დადებული ხელშეკრულებების ცვლილება და ახლიდან გაფორმება აღმზრდელის პოზიციაზე. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება შეიცვლება "მეტწილი" შესაბამისობით. |

კითხვარის შევსების პროცესში აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.



**4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი**

დანართი №2

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება:<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ა(ა) იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება - სოფ. რატევანის საბავშო ბაღი | ბრძანების N: MES 4 26 0000 35577 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) ბოლნისის მუნიციპალიტეტი სოფ. რატევანი | ვიზიტის თარიღი: *16,04,2026* |

**კრიტერიუმი 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას**

| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | შესაბამისია | მეტწილად შესაბამისია | ნაწილობრივ შესაბამისია | არ არის შესაბამისი | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 1.ბრძანება N334 (12/12/2025) კვების ორგანიზებისა და კვებითი ღირებულებების ნორმების მარეგულირებელი წესი<br>2.ბრძანება N13 (13/01/2026) კვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სტანდარტული საოპერაციო პროცედურების შესახებ<br>3.ინტერვიუ : მენეჯერი,მზარეული , მზარეულის თანაშემწე, მნე, აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, ექთანი<br>4. დაწესებულების დათვალიერებისას წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ფორტომასალა.<br>5.<br>6.<br>7. |
| სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ხანგრძლივობა | 9-ზე მეტი საათი | 5-დან 9 საათამდე | 3.5-დან 5 საათამდე 5 საათამდე | არაუმეტეს 3.5 საათისა | |
| | | v | | | |
| კვების უზრუნველყოფის ფორმა | სტაციონალური კვებითი უზრუნველყოფა | სატელიტური სამზარეულო | მზა კერძების შესყიდვა ინდივიდუალური შეფუთვით | ჰიბრიდული მოდელი | |
| | v | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მოთხოვნები კვების პროცესის ორგანიზებისადმი** | | | | | | | | |
| 1.1 | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს:** | | | | | 0-1 წლამდე კვების უზრუნველყოფის მექანიზმი - არ არის რელევანტური დაწესებულებისათვის. *დაწესებულებას დამტკიცებული აქვს კვების უზრუნველყოფის მექანიზმი(ბრძანება N33(12/12/2025). * საკვების მომზადება ხორციელდება შენობაში მოთავსებულ კვების ბლოკში, რომელის მოიცავს: სამზარეულოს,სამრეცხაო ზონას, დამხმარე სათავსოს და შესაბამის ადამიანურ რესურსს.<br>*დამტკიცებული მარეგულირებელი წესი მოიცავს: ალერგიის, კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის შესახებ . ინფორმაციის შეგროვების მეთოდებს,შემოტანილი საკვების უსაფრთხოების და გამოყენების საკითებს. აქვთ გადუდებელი დახმარების ზუსტი გეგმა( ბრძანება N13 (13/01/2026) კვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სტანდარტული საოპერაციო პროცედურების შესახებ ) , ჰყავთ გადამზადებული პერსონალი.<br>* ხორციელდება პროდუქტების და მზა კერძების კონტროლი. დამზადებული კერძების ხარისხის კონტროლის მიზნით შესაბამისი წესის მიხედვით ხდება მზა კერძების ნიმუშების აღება და შენახვა. გადაცდენის რისკის თავიდან აცილების მიზნით ხდება პროდუქტის ტქსტურის შეცვლა( გაფცქვნა დაბლენდერება). *დამტკიცებული აქვს იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებების და ქიმიური შემადგენლობის ცხრილი რომლითაც ხელმძღვანელობს მენიუს შემუშავების დროს .<br>აქვთ10 დღიანი(2 კვირიანი ) მენიუ. მენიუ მოიცავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას. | | | |
| | მენიუს შემუშავება (მათ შორის დამტკიცებული მენიუს დღიური ცვლილების შესაძლებლობა ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით და 0-1 წლამდე ბავშვების კვების მექანიზმი (საჭიროების შემთხვევაში)) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუს უზრუნველყოფის ფორმის რეგულირება (ადგილზე დამზადება/ მზა საკვების შესყიდვა/სხვ.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვება (კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვის თაობაზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდები; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მისი გამოყენების და უსაფრთხოების საკითხები; ბავშვებისთვის, რომელთაც წარსულში ჰქონიათ ანაფილაქსია ან სხვა მძიმე ალერგიული რეაქცია, გადაუდებელ შემთხვევებში ქმედების ზუსტი გეგმა) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.2 | დამტკიცებული, იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რომლითაც ხელმძღვანელობს მენიუს შემუშავების დროს | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.3 | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შედგენილი აქვს 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა, რომელიც სავალდებულოდ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:<br>ა) კერძის ინდივიდუალური ბარათი;<br>ბ) მომზადების ტექნოლოგია (რეცეპტი და მომზადების წესი);<br>გ) კერძის ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა);<br>დ) ქიმიური შემადგენლობა (ცილა,ცხიმი,ნახშირწყალი);<br>ე) პროდუქტის დამუშავების დანაკარგები (ბრუტო/ნეტო);<br>ვ)თითოეული კერძის გამოსავალი (გასაცემი ულუფის ზომა);<br>ზ)პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2 | **მენიუ დაგეგმილია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:** | | | | | | | | |
| | კვების პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ დაწესებულებაში ჯგუფისთვის კვების მიწოდება ხდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს, რაც დასტურდება დღის განრიგით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | 2,ა) დაწესებულებაში კვება ხორციელდება 4 ჯერადად ( საალმზრდელო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე) ერთსადაიმავე დროს რაც დასტურდება დღის რეჟიმით (რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას) და ინტერვიუს საფუძველზე.<br>ბ) კვებათა შორის არ არის დარღვეული ენერგეტიკული ღირებულებების პროცენტული თანაფარდობა.<br>გ) მენიუს დაგეგმვისას გათვალისწინებულია სეზონურობა<br>,დ) საუზმე, წახემსება, სადილი და სამხარი დაგეგმილია იმგვარად რომ მოიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა კომპონენტს.<br>ე) სასმელად გამოიყენება წყალი და დაბალი ცხიმიანობის რძე. | | | |
| | კვების მიწოდების ჯერადობა, საალმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შეესაბამება შემდეგ განაწილებას:<br><br>9 საათზე მეტი - 2 ან 3 ძირითადი კვება და 2 ან 3 წახემსება<br>9 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 2 წახემსება (მიწოდებული 4 ჯერადად ან 3 ჯერადად)<br>5 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 1 წახემსება<br>3.5 საათამდე - 1 ძირითადი კვება და 1 წახემსება | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ კვების მიწოდების ჯერადობის შესაბამისად კვებებს შორის დღის ენერგეტიკული ღირებულება შემდეგნაირად ნაწილდება:<br><br>საუზმე ≈20%<br>წახემსება ≈10%<br>სადილი ≈30%<br>შუადღის წახემსება ≈15%<br>ვახშამი ≈15%<br>საღამოს წახემსება ≈10% | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ პროდუქტის შერჩევისას გათვალისწინებულია სეზონურობა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია კერძების მრავალფეროვნება და ერთი და იგივე კერძი (მათ შორის, გადამუშავებული პროდუქტის სხვა კერძის ფორმით გამოყენება) არ მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საუზმე დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა და ხილს (ხილი შესაძლებელია გადატანილი იქნას დილის წახემსებაზე) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სადილი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: 4 ან 5 კომპონენტს და აუცილებლად მოიცავს პურს, წყალს, ძირითად კერძსა და გარნირს | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წახემსება დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულს/ახალი ხილს/ბოსტნეულს/რძეს/დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმს | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელად გამოიყენება წყალი/დაბალი ცხიმიანობის რძე/ხილის წვენი (100%-იანი, შაქრის დამატების გარეშე) და სხვა. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 3 | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურა შესაბამისია შემდეგ მოთხოვნებთან (მონაცემები გამოტანილია 9 საათიანი მომსახურების შემთხვევაში, უფრო მეტი/ნაკლები დროით ბავშვის დაწესებულებაში დაყოვნების შემთხვევაში, ექსპერტმა კვების ჯერადობისა და გადანაწილების მიხედვით უნდა გამოიანგარიშოს შესაბამისი პროპორციული მოთხოვნები, ასახოს კითხვარის მე-3 სექციაში და შესაბამისად შეაფასოს) | | | | | | | | |
| | დაწესებულების 10 დღიანი მენიუ-ფაქტურის დღიური ენერგეტიკული ღირებულება საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 1292 კილოკალორია (დღიურად შესაძლებელია კალორიის ცვალებადობა +/-10 კკალ); | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ა) დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10 დღიანი მენიუ, რომლის დღიური ენერგეტიკული საშუალო არითმეტიკული არის დაახლოებით1292 კილოკალორიაა, ბ ) ცილის საშ. შემცველობა( დღიურად) დაახლოებით)50,37, კკ.ლ<br>გ) ცხიმის დაახლოებით49,57კკა.ლ<br>დ).ნახშირწყლების შემცველობა კი160,82 კკალორია.<br>ე) დაწესებულების მიერ თითოეულ ბავშვზე გაწერილი 10 დღის განმავლობაში პური- ბურღულეული და მარცვლეულის აუცილებელი თანაფარდობა არ არის დარღვეული. საკონდიტრო ნაწარმი 40 გრამს არ აღმატება ( ფუნთუშა არის 40 გრ , ხოლო ვაფლი -15 გრ)<br>ვ) მენიუში კართოფილის, ხილის და ბოსტნეულის თანაფარდობა შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს<br>ზ) რძე და რძის პროდუქტების რაოდენობა შეესაბამება აუცილებელ მოთხოვნებს თ), დაწესებულების მენიუში გაწერილი ხორცი და ხორც პროდუქტები შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს , ასევე შესაბამისია მცენარეული ზეთის და ნაღბის კარაქის შემცველობა | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცილის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 50.37გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/-5 გ); | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცხიმის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 49.57გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5 გ); | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ნახშირწყლების შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 160.82 გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5გ); | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეული ბავშვზე გაწერილია 1300 გ პური, მარცვლეული და ბურღული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | პური ≈1000გ<br>მარცვლეული და ბურღულეული ≈300გ<br>საკონდიტრო ნაწარმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ აღემატება 40გ-ს. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4300 გ ხილი, კარტოფილი და ბოსტნეული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | ხილი ≈1300გ (მათ შორის ხილის ჩირი (არსებობის შემთხვევაში-არაუმეტეს 100გ)<br>ბოსტნეული ≈1800გ<br>კარტოფილი ≈1200გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4870 მლ. რძე და რძის პროდუქტი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | რძე დასალევად ≈1500 მლ.<br>რძე და რძის პროდუქტი ≈3370 მლ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 840გრ ხორც პროდუქტები 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | საქონლის რბილი ხორცი 440გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ქათმის ფილე 200გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თევზის ფილე 200გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 220გ ცხიმი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | მცენარეული ზეთი 100გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ნაღების კარაქი 120გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 4 | **აკრძალული/ლიმიტირებული პროდუქტების არსებობა ბავშვთა კვებისთვის შემუშავებულ მენიუში** | | | | | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით კერძებში მარილის გამოყენების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 3 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | )დაწესებულებაში დასაშვებ ზღვარს არ აღემატება მარილის და შაქრის შემცველობა კვებაში არ გამოიყენება ყავა, შავი ჩაი., კოფეინის შემცველი პროდუქტები(აქვთ კაკაო - უკოფეინო), ასევე არ გამოიყენება ტკბილი და გაზიანი სასმელები, მოზრდილისთვის განკუთვნილი სპეციალური და დიეტური პროდუქტები, გარეული ფრინველის ხორცი , კვერცხი, კულტივირული სოკო და აკრძალული საკვები დანამატები და საღებავები | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით თავისუფალი შაქრის მოხმარების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 25 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კოფეინის შემცველ პროდუქტები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ყავა და შავი ჩაი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ტკბილი და გაზიანი სასმელები (მათ შორის ხილის სასმელების, გაზიანი/უალკოჰოლო სასმელების, აღდგენილი სასმელების (გარდა რძისა), ენერგეტიკული სასმელების) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება მოზრდილთათვის განკუთვნილი სპეციალური და დიეტური პროდუქტები (მაგ: ქოლესტეროლის დამწევი ან უჯრედისის მაღალი შემცველობის სურსათი და სხვ.) გარდა იმ შემთხვევისა თუ სპეციალურ საჭიროებიდან გამომდინარე მშობლის მიერ წარმოდგენილია სპეციალისტის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური მენიუ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება გარეული ფრინველის ხორცი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება იხვისა და ბატის კვერცხი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კულტივირებული თუ არაკულტივირებული სოკო | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუშიი არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება საოჯახო პირობებში მომზადებული სურსათი (გარდა იმ შემთხვევისა თუ კვებითი აუტანლობის მექანიზმში გაწერილია მსგავსი პროცედურა) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება შემდეგი საკვებდანამატები:<br>ნატრიუმის ბენზოატი (E211)- კონსერვანტი<br>ტარტრაზინი(E102) - საღებავი<br>ქინოლინისებრი ყვითელი (E104) - საღებავი<br>ყვითელი "მზის ჩასვლა" (E110) - საღებავი<br>კარმუაზინი (E122) - საღებავი<br>პონსო ალისფერი 4R (E124) - საღებავი<br>წითელი ალურა AC (E129) - საღებავი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | **კვების მიწოდება და უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი და ფინანსური რესურსი | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულებას არ აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი , კვების პროცესი მუდმივად კონტროლდებასაგანმანათლებლო და ჯგუფის პერსონალის მიერ | დაწესებულებამ მოიძიოს საჭირო რესურსი , შეიძინოს საჭირო რაოდენობის და ბავშვისთვის უსაფრთხო დანები | | ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების დირექტორი, შესყიდვების სპეციალისტი, მთ. ბუღალტერი : მატერიალური/ ადამიანური/ ფინანსური რესურსის ჩართულობით იღებს ვალდებულებას- შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადაში (2026 წლის მაისი- 2026 წლის დეკემბერი ) უზრუნველყოს: 1, მაზრის კვლევის გამოცხადებაMRS სისტემაში საბავშო ჭურჭლის, მათ შორის, დანის განფასების მიზნით 2, საჭირო თანხის მოძიება 3, ტენდერის გამოცხადება 4, ხელშეკრულების გაფორმება გამარჯვებულ პრეტენდენტთან 5, მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმება მიღებულ პროდუქციაზე. |
| | დაწესებულებაში მუდმივად კონტროლდება ბავშვების კვების პროცესი საგანმანათლებლო პერსონალის/ჯგუფის დამხმარე პერსონალის მიერ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

კვების დარში ექპერტი : აჩელაშვილი რუსუდანი 

**4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი** დანართი №3

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ქ. ბოლნისის სოფ. რატევანის საბავშვო ბაღი | ბრძანების N: MES 4 26 0000355774 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფელი რატევანი<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: *16*.04.2026 |

**კრიტერიუმი 4.5.1. დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები**

| | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| **ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს** | ☐ | ☐ | ☐ | ☒ | 1. ა(ა)იპ "ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების" მიერ დამტკიცებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესი თანდართული დანართებით;<br>2.სადეზინფექციო საშუალება „სეპტოქვატი“ (არასრული ინსტრუქცია ქართულ ენაზე)<br>3. სასმელი წყლის ლაბორატორიული გამოცდის ოქმი N1184- შპს "ხარისხის ლაბორატორია" (23.03.2026)<br>4. წყლის ფილტრის (ულტრაიისფერი სტერილიზატორი) ინსტრუქცია ქართულ და მწარმოებელი ორგანიზაციის ენაზე<br>დაწესებულების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები და შესრულებული სამუშაოს აღრიცხვის ჟურნალები (ფურ);<br>5. ვიზუალური დათვალიერების შედეგები; 6. სარეცხად გამოყენებული ფხვნილის<br>და ქლორის შემცველი საშუალებების ეტიკეტი - არასრული ეტიკეტირება ქართულ ენაზე<br>7.ავზის სადეზინფექციო პრეპარატები - ინსტრუქცია ზეპირად<br>8.სადერატიზაციო საშუალება (გამოყენების მოკლე ინსტრუქცია) უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი არაქართულ ენაზე<br>9. პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი** | | | | | | | | |
| | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს და განსაზღვრავს მათთვის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს (წესებისა და მონიტორინგის მექანიზმების ჩათვლით) და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემას (საჭიროების შემთხვევაში)** | | | | | სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა (შენობის შიდა სათავსები და გარე სივრცე, ინვენტარი, მატერიალური რესურსი და სხვ.)- აღნიშნული ნორმების დასაცავად გააჩნიათ სათანადო ოდენობის, ნაკრებებად გაწერილი და მარკირებული მატერიალური რესურსი.<br><br>დაწესებულებას აქვს სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დამტკიცებული შაბლონი<br><br>ფუნქცია-მოვალეობები დელეგირებულია, თანამშრომლებმა იციან საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და იცნობენ მათთვის განკუთვნილი სოპ-ების შინაარსს. | | საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ უწყებასთან კოორდინაცია, სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების ნუსხისა, ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტურად გაწერა მაგ: რომელი სიმპტომებისა თუ დაავადებების დადგენის შემდგომ ხდება საზ. ჯანდაცვის სამსახურთან ინფორმაციის მიწოდება და რა ფორმით.<br>საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვისთვის სათანადო სავენტილაციო სისტემის დამონტაჟება და მუშაობის ეფექტურობის გეგმიური და საჭიროებისას არაგეგმიური კონტროლის უზრუნველყოფა. | |
| | წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა (სასმელი ან/და ტექნიკური წყლით წყალმომარაგება, წყალარინება, ნარჩენი წყლების მართვა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა (შენობის შიდა სათავსები და გარე სივრცე, ინვენტარი, მატერიალური რესურსი და სხვ.) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დასუფთავება და ნარჩენების მართვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დამტკიცებული შაბლონი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2 | **ზოგადი მოთხოვნები დაწესებულების სათავსების მოწყობისადმი** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის იატაკი არის გლუვი, ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით რეცხვას | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის იატაკი არის გლუვი, ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით რეცხვას - ოთახების ნაწილში იატაკი დაზიანებულია (5-6 წლიანების ჯგუფური ოთახი) სანიტარული კვანძის სათავსების, დარბაზის და სამრეცხაოს/საუთოებლის (არსებობის შემთხვევაში) კედლების მოპირკეთება ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას არანაკლებ 1.5 მ სიმაღლემდე - ჯგუფურ ოთახებთან განთავსებული სანიტარული კვანძის კედლები 116 სმ სიმაღლეზეა მოპირკეთებული ფილებით, კედლების საღებავი სისველისადმი მედეგია, თუმცა რიგ სანიტარულ კვანძებში დაზიანებულია მოსაპირკეთებელი მასალა და კედლების მთლიანობა, რაც რეცხვა-დეზინფექციის სრულფასოვნად განხორციელებას ართულებს, პერსონალისათვის განკუთვნილი სანტარული კვანძი და სამრეცხაო 150 სმ სიმაღლეზე მოპირკეთებულია ფილებით. სანიტარული კვანძის და სამრეცხაოს (არსებობის შემთხვევაში) იატაკის საფარი მოპირკეთებულია კერამიკული ან მოზაიკური ფილებით, რომელიც ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც - შეესაბამება საქართველოს მთავრობის დადგენილება №485 -ტექნიკური რეგლამენტს. დაწესებულების შენობის სათავსებში მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად გამოყენებულია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები-შესაბამება საქართველოს მთავრობის დადგენილება №485 -ტექნიკური რეგლამენტს ოთახებისათვის განკუთვნილ ფანჯრებზე, შენობის სარდაფი ეზოს ტერიტორიაზე გამოდის მცირე ზომის ფანჯრების მეშვეობით, რომლების ნაწილიც გადატიხრულია რკინის ტიხრებით, დიდი ზომის ცხოველების სარდაფში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად, თუმცა ვერ შეძლებს სარდაფის დაცვას მღრღნელებისა და ქვეწარმავლებისაგან. | დაზიანებული იატაკის აღდგენა ან/და შეცვლა რეცხვა-დეზინფექციას დაქვემდებარებული უსაფრთხო მასლით. სარდაფის ფანჯრების აღჭურვა ლითონის სათანადო ბადეებით და მუდმივი კონტროლის უზრუნველყოფა. | სასურველია, სარემონტო სამუშაოების დაგეგმარებისას მოთხოვნებში მითითებულ იქნეს რეცხვა-დეზინფექციისადმი მედეგი საღებავი, სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტაციით და მწარმოებელისათვის მოთხოვნილ იქნეს ე.წ. უსაფრთხოების სერტიფიკატი- აღნიშნული მასალის ბავშვთათვის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი | დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ეტაპზე წარმოადგენილ იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც: დაზიანებული იატაკის შეცვლა ან აღდგენა -პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული იქნა ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების დირექტორი, ხოლო შესრულების თარიღად 2026 წლის მაისიდან 2028 წლის მაისის ჩათვლით, შესაბამისად და ინდიკატორის მოთხოვნა შეიცვალა ნაწილობრივი შესაბამისობით. სარდაფის ფანჯრების ბადეებით აღსაჭურვად განსაზღვრულ იქნა შემდეგი ღონისძიებები: 1. შესაბამისი სამუშაოების დაგეგმვა და საჭირო რესურსის შეძენა 2. სარდაფის სათანადო დაცვის უზრუნველყოფა მღრღნელებისა და ქვეწარმავლების შეღწევისგან, ინდიკატოროს შესულების ვადად განსაზღვრულ იქნა 2026 წლის მაისი 2026 წლის სექტემბრით და ინდიკატორის შეიცვალა მეტწილად შესაბამისობით. |
| | სანიტარული კვანძის სათავსების, დარბაზის და სამრეცხაოს/საუთოებლის (არსებობის შემთხვევაში) კედლების მოპირკეთება ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას არანაკლებ 1.5 მ სიმაღლემდე | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძის და სამრეცხაოს (არსებობის შემთხვევაში) იატაკის საფარი მოპირკეთებულია კერამიკული ან მოზაიკური ფილებით, რომელიც ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შენობის სათავსებში მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად გამოყენებულია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| 3 | **ზოგადი მოთხოვნები განათებისადმი** | | | | | 0 | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას - ვიზუალური დაკვირვებით და დასაქმებულთა შეფასებით განათება კარგია, დაწესებულების ძირითად სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, ასევე საძინებელ ოთახებს და დახურულ სივრცეს სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზს აქვს ბუნებრივი განათება - ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება ბუნებრივი განათების არსებობა. ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას - ვიზუალური დათვალიერებით და ინტერვიუების ფარგლებში მიღებული ინფორმაციით ხელოვნური განათება დამაკმაყოფილებელია. ჯგუფური ოთახის, საძინებელი ოთახის, სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილია მზისგან დამცავი საშუალებებით (ფარდები/ჟალუზები ან/და სხვა საშუალება) - ჯგუფური და საძინებელი ოთახების ფანჯრები აღჭურვილია ფარდებით, ხოლო სამზარეულოს ფანჯრები ჟალუზებით ან/და ფარდებით არ არის აღჭურვილი. ჯგუფური ოთახისა და საძინებელი ოთახის ფანჯრის რაფებზე არ დგას ოთახის მცენარეები ან/და მცენარის ქოთნები - ვიზუალური დათვალიერებით ფანჯრის რაფებზე არ დგას მცენარეები. | რეკომენდებულია სამზარეულოს ფანჯრების აღჭურვა მზისგან დამცავი, რეცხვა-დეზინფექციას დაქვემდებარებული ფარდა/ჟალუზებით. | სასურველია დაწესებულების ძირითად სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, ასევე საძინებელ ოთახებს და დახურულ სივრცეს სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზს აქვს ბუნებრივი განათება - დადგინდეს შესაბამისობა საქართველოს მთავრობის დადგენილება №485 - ტექნიკური რეგლამენტის – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ - მუხლი 4. ზოგადი მოთხოვნები განათებისა და წყალმომარაგებისადმი პუნქტი 1- მოთხოვნებისადმი. დაწესებულება უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით - კრიტერიუმის მოთხოვნების ობიექტურად სრულყოფილად დასაკმაყოფილებლად გაითვალისწინებულ იქნეს საქართველოს მთავრობის დადგენილება №341 (2022 წლის 1 ივლისი) - სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე - მუხლი 16. ბუნებრივი და ხელოვნური განათება არსებული მოთხოვნები , გაიზომის სათანადო კომპენტენციის მქონე ორგანიზაციების/პირების მიერ და დასკვნის შესაბამისად, საჭიროების გათვალისწინებით დაგეგმილ იქნეს სათანადო ღონისძიებები. | აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, წარმოდგენილ იქნა ფოტო მტკიცებულება - რეცხვა-დეზინფექციას დაქვემდებარებული ჟალუზები სამზარეულოს ფანჯრებზე, შესაბამისად ინდიკატორიც შეუსაბამოს ნაცვლად შეიცვალა შესაბამისობით. |
| | დაწესებულების ძირითად სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, ასევე საძინებელ ოთახებს და დახურულ სივრცეს სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზს აქვს ბუნებრივი განათება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახის, საძინებელი ოთახის, სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილია მზისგან დამცავი საშუალებებით (ფარდები/ჟალუზები ან/და სხვა საშუალება) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახისა და საძინებელი ოთახის ფანჯრის რაფებზე არ დგას ოთახის მცენარეები ან/და მცენარის ქოთნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 4 | **ზოგადი მოთხოვნები წყალმომარაგებისა და წყალარინებისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით (ცივი და ცხელი წყალი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყლით მომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით ან შენობის სიახლოვეს, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის | LightTech-ის ბაქტერიოციდული ულტრაიისფერი ნათურების ცვლილებების - დოკუმენტური | სასურველია, წყლის ლაბორატორიული შემოწმებისათვის ნიმუშის აღების წესის გაწერა - | დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ეტაპზე წარმოადგენილ იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც: დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყლით |

| № | მოთხოვნა | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყლით მომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით ან შენობის სიახლოვეს, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და პერსონალისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (WASH ინდიკატორი) | ☐ | ■ | ☐ | ☐ | და პერსონალისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (WASH ინდიკატორი) -დაწესებულების წყალმომარაგებას ანხორციელებს შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგება" გრაფიკით 16:00-19:00 შუალედში დაწესებულება იყენებს ავზებში არსებულ წყალს. აბონენტის №3125710, შემომავალი წყლის განტოტვა ხდებ სარდფში, ხოლო წყვეტის შემდგომ ავზებიდან LightTech-ის ბაქტერიოციდული ულტრაიისფერი ნათურების ბარიერის გავლის შემდგომ, LightTech-ის ბაქტერიოციდული ულტრაიისფერი ნათურები მუშაობის დრო ცნობილია 9000 სთ, თუმცა არ აქვთ გაწერილი წესი როგორ აკონტროლონ ფილტრის მუშაობის დრო, სათანადო დროს შეცვლის უზრუნველსაყოფად ავზების მოცულობით (4 ტონა). საკვების მოსამზადებელი, პირადი ჰიგიენის, დასუფთავებისა და რეცხვისათვის განკუთვნილი წყალი უსაფრთხოა და აკმაყოფილებს "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებს (WASH ინდიკატორი), რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით - წყლის ნიმუშის კონტროლის ოქმი ( LightTech-ის ბაქტერიოციდული ულტრაიისფერი ნათურების ცვლილება ხორციელდება მწყობრიდან გამოსვლის შემდგომ (ვიზუალური ) ავზში წყლის ცვლილებისა და ავზის რეცხვა-დეზინფექციის გაწერილი წესი - ზეპირსიტყვიერად იციან დამუშავების წესის (რეცხვა-დეზინფექცია). არ არის გაწერილი ნიმუშისათვის წყლის აღების, ტრანსპორტირების და დროის დაცვის წესი (ექთანმა ინტერვიუს ფარგლებში ზეპირსიტყვიერად გადმოსცა წყლის ნიმუშის აღების პროცდურა, რომელიც ზეპირსიტყვიერად განუმარტავს სურსათის უვნებლობის წარმომადგენელს, კერძოდ ბორჯომის მინის ბოთლი ახალი, სამზარეულოდან იღებენ როდესაც დაწესებულება დაავალებს' - წყალის აღების წესი ზეპირსიტყვიერად ასწავლა სურსათის სააგენტომ. ბორჯომის წყლის მინის თავსახურიან ბოთლს ცლიან, ხარშავენ სამზარეულოს ქვაბში 30 წთ განმავლობაში, შემდეგ აპირქვავებენ და აშრობენ გამოხარშულ ლამბაქზე, ონკანის ცხვირს ამუშავებენ სპირტით, რამდენიმე წუთის განმავლობაში გამდინარე წყლის ჭავლით ავსებენ ბოთლს ბოლომდე და ხუფავენ რკინის თავსახურით, ყოვნდება ოთახის ტემპერატურაზე და მიაქვთ დაწესებულებაში კვლევისათვის). დაწესებულება უზრუნველყოფილია კანალიზაციით - ცენტრალური კანალიზაცია არ არის დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ნახმარი წყლების მოცილება/არინება (წვიმის წყლის, რეცხვისა და ხელნაბანი წყლის, სასმელი წყლის და ა.შ. არინება) - ორ ურთიერთდაკავშირებული ორმოში ხორციელდება წყლის არინება, ორმო არ დამუშავებულა, არ განხორციელებულა დაცლა, არ არის ცნობილი ორმოების მოცულობა და წყლის გადინების მარშრუტი. ნარჩენი წყალი ჩაედინება სასენიზაციო ორმოში, რომელსაც აქვს ორი ურთიერთდაკავშირებული ნაწილი, თავი დახურულია ბეტონის თავსახურებით, არ დამუშავებულა 2016 წლის შემდგომ (2016 წელს განხორციელდა ბაღის რემონტი, დამუშავდა სასენიზაციო ორმო) დამლაგებლის მიერ ნარჩენი წყლის არინებისათვის გამოიყენება ყოველი ჯგუფის სანიტარული კვანძის ერთი უნიტაზი, რომელიც მარკირებული, თუმცა ჯგუფური ოთახების ნაწილში სანიტარული კვანძის ნარჩენი წყლების არინებისათვის მარკირებული უნიტაზი გამოიყენება დანიშნულებისამებრ (დამლაგებლის მიერ ჯგუფური ოთახის დალაგების და ნარჩენი წყლის არინების შემდგომა, უნიტაზი ირეცხება, მუშავდება ქლორის შემცველი სარეცხი საშუალებით, ბავშვების ეზოში ყოფნის დროს და საღამოს როდესაც ტოვებენ ჯგუფურ ოთახს დალაგების შემდგომ დეზინფიცირდება). შენობის ერთ მხარეს ეზოში განთავსებულია ონკანი, რომელიც გამოიყენება ეზოს დასალაგებელი ინვენტარის და საქვიშეში თამაშისათვის განკუთვნილი სათამაშოების რეცხვისათვის, ხოლო წლის თბილ პერიოდში სხვადასხვა ინვენტარის და ჯგუფურ ოთახებში არსებული სათამაშოების რეცხვისთვის, წყალი პირდაპირ მიწაზე იღვრება და ფერდობის დამრეცობის პროპორციულად ბავშვთა ატრაქციონებისაკენ ვრცელდება. | LightTech-ის ბაქტერიოციდული ულტრაიისფერი ნათურების დამონტაჟების მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ.), ავზის სადეზინფექციო პრეპარატის მომწოდებელს მოსთხოვოს მიწოდებული საშუალებების უსაფრთხოების საინფორმაციო ფურცელი (SDS) ან სრულყოფილი ინსტრუქცია ქართულ ენაზე. ეზოში არსებული ონკანიდან წყლის ნაკადის მიმართვა (წყალი არ მიედინებოდეს ატრაქციონებისაკენ). სასენიზაციო ორმოს დამუშავების უზრუნველყოფა კანონმდებლობის შესაბამისად | ტექნიკური რეგლამენტის „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების“ დამტკიცების შესახებ რეგულაციების მიხედვით | მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და პერსონალისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (WASH ინდიკატორი) –ინდიკატორი დაკმაყოფილდა LightTech-ის ბაქტერიოციდული ულტრაიისფერი ნათურების შესყიდვის დრო და მოხმარების საათები აღრიცხულ იქნება (ჩანაწერის წარმოება, სადაც დაფიქსირდება ნათურების ჩართვის, გამორთვის, ტექნიკური შემოწმებისა და შეცვლის თარიღები. 2. 9000 სამუშაო საათის ამოწურვამდე უზრუნველყოფილი იქნება ნათურების დროული შეცვლის დაგეგმვა, რათა სასმელი წყლის უსაფრთხოება მუდმივად იყოს დაცული. დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა რჩევა წყლის ნიმუშის აღების წესის გაწერის შეახება და დაგეგმილ იქნა აქტივობები, კერძოდ: 1. სასმელი წყლის ნიმუშის აღების, ეტიკეტირების, ტრანსპორტირებისა და ლაბორატორიაში წარდგენის პროცედურის შემუშავება; 2. პროცედურაში პასუხისმგებელი პირების, ნიმუშის აღების სიხშირის, ვადების, ტრანსპორტირების პირობებისა და ტემპერატურული რეჟიმის განსაზღვრა; 3. წყლის ნიმუშის აღებისათვის საჭირო ინსტრუქციისა და ფორმების (ჟურნალი, აღების აქტი, ეტიკეტი) დანერგვა; 4. პერსონალისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება წყლის ნიმუშის სწორად აღებისა და ტრანსპორტირების წესებთან დაკავშირებით; 5. წყლის ნიმუშების აღებისა და ლაბორატორიული პასუხების აღრიცხვის ჟურნალის წარმოება; 6. აკრედიტებულ ლაბორატორიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ნახმარი წყლების მოცილება/არინება (წვიმის წყლის, რეცხვისა და ხელნაბანი წყლის, სასმელი წყლის და ა.შ. არინება) - აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებაში განისაზღვრა შემდეგი: . 1. დამფუძნებლის მხარდაჭერის მოთხოვნა შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად 2.ინფრასტუქტურული ცვლილებების/შესაბამისი სამუშაოების დაგეგმვა 3. წყლის გადინების სისტემის მოწესრიგება და დაზიანებული გარე ფასადისა და ბეტონის საფარის რეაბილიტაცია. 4. მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება შესრულებულ სამუშაოზე -პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული იქნა ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების დირექტორი, ხოლო შესრულების თარიღად 2026 წლის მაისიდან 2028 წლის მაისის ჩათვლით, შესაბამისად და ინდიკატორის მოთხოვნა შეიცვალა ნაწილობრივი შესაბამისობით. საკანალიზაციო სისტემასთან მიმართებით დაწესებულებამ განსაზღვრა შემდეგი: 1. დაწესებულება წერილობით მიმართავს მუნიციპალიტეტს აღნიშნული საკითხით2. საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტთან და შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით დაიგეგმება ; საკანალიზაციო სისტემის გაუმჯობესებისა და უსაფრთხო ფუნქციონირების დამატებითი ღონისძიებები. ინდიკატორის შესრულების ვადად განსაზღვრულ იქნა 2026 წლის მაისი -2028 წლის მაისი და ინდიკატორი შეიცვალა ნაწილობრივი შესაბამისობით. დაწესებულების ეზოში არსებული ონკანის მიმდებარე ტერიტორიაზე წყლის არინების სისტემის მოწყობა/ წყლის გადინების მიმართულების რეგულირება. |
| | სასმელი წყლის ბავშვებისთვის მიწოდება ხდება: | | | | | | | | |
| | ა) წყლის კონტეინერის საშუალებით | ■ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბ) წყლის დისპანსერის საშუალებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გ) წყლის შადრევნის საშუალებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წყლის კონტეინერის საშუალებით გამოყენებისას დაცულია შემდეგი პირობები: 1. წყლის კონტეინერი ყოველდღიურად ან ყოველი დაცლისას ირეცხება, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით; 2) წყლის კონტეინერს აქვს თავსახური; 3) წყლის კონტეინერი არ დგას იატაკზე | ■ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წყლის დისპენსერების საშუალებით გამოყენებისას დაცულია შემდეგი პირობები: 1) ხელმისაწვდომია ერთჯერადი გამოყენების ჭიქები; 2) წყლის დისპენსერის ავზი პერიოდულ ირეცხება და უტარდება დეზინფექცია, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით; | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელი წყლის წყაროდ არტეზიული ჭის არსებობის შემთხვევაში, ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) დაცულია გარედან რაიმე სახის დაბინძურებისაგან ბ) განთავსებულია არანაკლებს 30მ დაშორებით დაბინძურების ნებისმიერი წყაროდან გ) არ ხდება პესტიციდების გამოყენება ჭიდან 100მ რადიუსში დ) ჭა მოწმდება სტრუქტურული მთლიანობის დასადგენად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით ე) ჭას აქვს ღობე ცხოველებისგან დასაცავად ვ) ჭის გარშემო მოწყობილია სადრენაჟო სისტემა ზედაპირული და დაღვრილი წყლით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად ზ) წყლის ამოსაღები სათლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სუფთად ინახება თ) ჭა ჩაკეტილი და თავდახურულია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პირადი ჰიგიენის, დასუფთავებისა და რეცხვისათვის განკუთვნილი წყალი უსაფრთხოა და აკმაყოფილებს "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებს (WASH ინდიკატორი), რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით | ■ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია კანალიზაციით | ☐ | ☐ | ■ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ნახმარი წყლების მოცილება/არინება (წვიმის წყლის, რეცხვისა და ხელნაბანი წყლის, სასმელი წყლის და ა.შ. არინება) | ☐ | ☐ | ■ | ☐ | | | | |
| | წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის დროს, ცხელი წყლით უზრუნველყოფილია კვების ბლოკი (სამზარეულო კერძების მოსამზადებელი და სამრეცხაო ზონით), სანკვანძ(ებ)ი და სამრეცხაო (არსებობის შემთხვევაში) | ☐ | ■ | ☐ | ☐ | | | | |
| | დასახლებულ პუნქტში წყალმომარაგებისა და წყალარინების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის შემთხვევაში დაწესებულების კანალიზაციის სისტემა მიერთებულია სასენიზაციო ორმოსთან/სეპტიკურ ავზთან შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით: ა) გარე სანიტარიულ კვანძს გააჩნია სასენიზაციო ორმო/სეპტიკური ავზი წყალგაუმტარი ფსკერით, კედლებითა და სახურავით ბ) სან.კვანძის სავენტილაციო მილს აქვს მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადე გ) სან.კვანძს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება დ) სან.კვანძს აქვს ფუნქციური ხელსაბანი ე) აქვს სან.კვნძთან მისასვლელი მოკირწყლული ბილიკი ვ) დაწესებულებას აქვს წინასწარგანსაზღვრული წესი მათი დაცლისა და დამუშავების პროცედურასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სანიტარიული კვანძი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ მდებარეობს დაწესებულების შენობის მომიჯნავედ. სანიტარული კვანძის დაშორება ჭებისა და წყალმომარაგების წყაროების კაპტაჟებიდან შეადგენდეს არანაკლებ 30 მ-ს. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში მუდმივი წყლის მიწოდების არ არსებობის შემთხვევაში, დამონტაჟებულია სამარაგე ავზი სანიტარიული კვანძების წყალმომარაგების მიზნით. სამარაგე ავზში შეგროვებული ბუნებრივი ნალექები ან სხვა ტიპის ტექნიკური წყალი გამოიყენება მხოლოდ ტუალეტების ჩასარეცხად, ეზოს/გარე სივრცის დასუფთავებისა და მორწყვისთვის, სახანძრო უსაფრთხოების სისტემებში და სამშენებლო და სარემონტო სამუშაობის წარმოებისას. ტექნიკური წყალი არ გამოიყენება სასმელად, საკვების მოსამზადებლად, პირადი ჰიგიენისთვის, დასუფთავებისა და რეცხვისთვის. ტექნიკური წყალი ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელია, რაც ექვემდებარება კონტროლს დაწესებულების მხრიდან | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **5** | **მოთხოვნები სითბურ-საჰაერო რეჟიმისადმი** | | | | | | | | |
